პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მუშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 5 იანვარი, 1944 წ. № 4 (6898). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ვასუგინს

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა დღეს, 4 იანვარს, ოთხი დღის სასტიკი ბრძოლების შემდეგ, იერიშით დაიკავეს ქალაქი და დიდი რკინიგზის სადგური ბელაია ცერკოვი — გერმანელთა თავდაცვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი.

ქალაქ ბელაია ცერკოვის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ შმაჩენკოს, გენერალ-მაიორ მარტიროსიანის, გენერალ-მაიორ ავდეენკოს ჯარებმა და არტილერიის გენერალ-მაიორ გუზევის არტილერისტებმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

გენერალ-მაიორ კოშინის სუმი-კიევის 232-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ კუზნეცოვის კიევის 74-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ ზუბარიოვის სუმი-კიევის 340-ე მსროლელმა დივიზიამ, ბრიგადის გენერალ სვობოდოს ჩეხოსლოვაკიის სუვოროვის ორდენოსანმა 1-ლმა ცალკე ბრიგადამ სსრ კავშირში, პოლკოვნიკ მიზერნის გვარდიის 111-ე ჰაუბიცის ლენინის ორდენოსანმა საარტილერიო პოლკმა, პოლკოვნიკ კულიკოვის ზარბაზნის 33-ე საარტილერიო წითელდროშოვანმა ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ ფილიმონოვის გვარდიის 317-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ ჩეპოლას გვარდიის მე-8 გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ბრიგადამ, მაიორ მალკინის 1667-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, მაიორ ევლიზის 493-ე ნაღმმტყორცნელმა პოლკმა, პოდპოლკოვნიკ პეტრაკოვსკის კიევის გვარდიის მე-16 ნაღმმტყორცნელმა პოლკმა, პოდპოლკოვნიკ ვლასენკოს გვარდიის 328-ე ნაღმმტყორცნელმა პოლკმა, პოდპოლკოვნიკ ივანოვის ჟიტომირის 87-ე სატანკო პოლკმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთებსა და ნაწილებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქალაქ ბელაია ცერკოვის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, მიენიჭოთ სახელწოდება „ბელაია ცერკოვისა“.

ამიერიდან ეს შენაერთები და ნაწილები იწოდებოდნენ:

ბელაია ცერკოვის გვარდიის 111-ე ჰაუბიცის ლენინის ორდენოსანი საარტილერიო პოლკი,

ბელაია ცერკოვის 33-ე ზარბაზნის წითელდროშოვანი საარტილერიო ბრიგადა,

ბელაია ცერკოვის გვარდიის 317-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი,

ბელაია ცერკოვის გვარდიის მე-8 გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ბრიგადა,

ბელაია ცერკოვის 1667-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი,

ბელაია ცერკოვის 493-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი,

ბელაია ცერკოვის გვარდიის 328-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი.

სუმი-კიევის 232-ე მსროლელი დივიზია, კიევის 74-ე მსროლელი დივიზია, სუმი-კიევის 340-ე მსროლელი დივიზია, კიევის გვარდიის მე-16 ნაღმმტყორცნელი პოლკი და ჟიტომირის 87-ე სატანკო პოლკი, რომლებმაც არაერთგზის გამოიჩინეს თავი გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში, წარდგენილ იქნან წითელი დროშის ორდენით დასაჯილდოებლად.

ჩეხოსლოვაკიის სუვოროვის ორდენოსანი 1-ლი ცალკე ბრიგადა სსრ კავშირში, რომელმაც თავი გამოიჩინა ქალაქ ბელაია ცერკოვის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნას ბოგდან ხმელნიცკის I ხარისხის ორდენით დასაჯილდოებლად.

დღეს, 4 იანვარს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედა-ქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო سალპით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ქალაქი ბელაია ცერკოვი.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ ბელაია ცერკოვის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 4 იანვარი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
წითელი არმიის შენაერთების ორდენებით დაჯილდოების შესახებ

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნან:

წითელი დროშის ორდენით

სუმი-კიევის 232-ე მსროლელი დივიზია.
კიევის 74-ე მსროლელი დივიზია.
სუმი-კიევის 340-ე მსროლელი დივიზია.
კიევის გვარდიის მე-16 ნაღმმტყორცნელი პოლკი.
ჟიტომირის 87-ე სატანკო პოლკი.

ბოგდან ხმელნიცკის I ხარისხის ორდენით

ჩეხოსლოვაკთა სუვოროვის ორდენოსანი 1-ლი ცალკეული ბრიგადა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 4 იანვარი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისათვის, აკადემიკოს ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ბოგომოლეცისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

მეცნიერების დარგში დიდი დამსახურებისათვის, ჭრილობათა და ძვლების გადატეხილობათა სამკურნალოდ უძვირფასესი პრეპარატების შექმნისათვის უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ბოგომოლეცს მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს medალი „ნამგალი და ჩაქუჩი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 4 იანვარი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
საბჭოთა კავშირის გმირების — ამსანაგების სიდორ არტემის-ძე კოვპაკისა და ალექსი თეოდორეს-ძე ფედოროვის „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე medალით დაჯილდოების შესახებ

მტრის ზურგში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის და უკრაინაში პარტიზანული მოძრაობის განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, რაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მიღების უფლებას იძლევა, — დაჯილდოებულ იქნან:

საბჭოთა კავშირის გმირი სიდორ არტემის-ძე კოვპაკი

საბჭოთა კავშირის გმირი ალექსი თეოდორეს-ძე ფედოროვი „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე medალით, აიგოს მათი ბრინჯაოს ბიუსტები და დადგეს კვარცხლბეკზე დაჯილდოებულთა სამშობლოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 4 იანვარი.

უკანასკნელი ცნობები

ამსანაგ მენშიკოვის დანიშვნა ინრრა-ს გენერალური დირექტორის მოადგილედ

ვაშინგტონი, 4 იანვარი (საკდესი). ინრრა-ს (გაერთიანებულ ერთა დახმარებისა და აღდგენის ადმინისტრაცია) გენერალურმა დირექტორმა ლემენმა გამოაცხადა, რომ ინრრა-ს გენერალური დირექტორის ოთხ მოადგილეთაგან ერთ-ერთ მოადგილედ დაინიშნა სსრ კავშირის დელეგატი ამსანაგი მენშიკოვი.

რუზველტის ჯანმრთელობის მდგომარეობა

ლონდონი, 4 იანვარი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, რუზველტის მდივანმა ერლიმ განაცხადა, რომ გაცივებისაგან ავად გამხდარ რუზველტის ჯანმრთელობის მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა, მაგრამ პრეზიდენტი ჯერ კიდევ წევს. გამოერკვეველია, საშუალებას მისცემს თუ არა პრეზიდენტს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა პირადად გამოვიდეს მომავალ კვირაში კონგრესის წინაშე მიმართვით შეერთებულ შტატებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

იუგოსლავიის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის საბრძოლო მოქმედება

ედენა, 4 იანვარი (საკდესი). როგორც იუგოსლავიიდან იუწყებიან, 31 დეკემბერს სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა დაიწყეს შეტევა ქალაქ ბანიალუკაზე და 2 იანვრისათვის ქალაქის ნახევარი ნაწილი დაიკავეს. ქალაქის ქუჩებში ბრძოლები გრძელდება. ჰიტლერელები ცალკეულ დიდ სახლებში გამაგრდნენ. ტყვედ წამოყვანილია სს-ელთა დივიზიის ბევრი ჯარისკაცი.

გაფთრებული ბრძოლები გრძელდება აღმოსავლეთ ბოსნიაში. ჰერცეგოვინაში, სანჯაყსა და ჩერნოგორიაში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები შეტევითს ოპერაციებს განაგრძობენ. დანარჩენ სექტორებში აქტიურად მოქმედებდნენ პარტიზანული რაზმები, განსაკუთრებით რკინიგზის ხაზების გაყოლებით.

არგენტინის მთავრობამ დაშალა არგენტინის ყველა პოლიტიკური პარტია

ნიუ-იორკი, 4 იანვარი (საკდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან იუწყება, არგენტინის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკრეტი არგენტინის ყველა პოლიტიკური პარტიის დაშლის შესახებ. არგენტინის მთავრობის წინათ გამოცემული დეკრეტით არგენტინაში აკრძალულია ყოველგვარი პოლიტიკური საქმიანობა.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
4 იანვრის ოპერაციული ცნობა

4 იანვრის განმავლობაში ნეველის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი და მათ შორის პლუსკოვო, ალექსეევსკოე, ბრიშანკი, ჩერნუხი, ტატირინო, ბოარი, ტრეხალევო, ტიოკოვო, ფედეევო და რკინიგზის სადგური იზოჩა. ჩვენმა ჯარებმა მთლიანად გაწმინდეს მოწინააღმდეგისაგან ველიკიე ლუკი — ნეველის რკინიგზა.

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, ოთხი დღის გაფთრებული ბრძოლების შემდეგ, დღეს, 4 იანვარს, იერიშით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური ბელაია ცერკოვი. 4 იანვრის განმავლობაში ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს ვინიცის ოლქის რაიონული ცენტრი პლისკოვი, კიევის ოლქის რაიონული ცენტრი სტავიშჩე, ავრუთვე დაიკავეს 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი და მათ შორის სტრიე

1944 წლის პირველი დღეები
თბილისის საწარმოებში

იანვრის პირველი დღეები მოწმობენ, რომ საწარმოების უმეტესობა წელს ახალი სამეურნეო წლის საწარმოო გეგმების შესრულებისათვის უკეთ მოემზადა, ვიდრე ეს წარშან იყო. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში, 26 კომისრის სახელობის ქარხანაში, მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში და მთელ რიგ სხვა საწარმოებში ჩატარდა შრომის ორგანიზაციის საზოგადოებრივი შემოწმება.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში შემოწმებამ გვიჩვენა, რომ არის შესაძლებლობა გადაეჯგუფონ მუშახელი, უფრო რაციონალურად განალაგონ მოწყობილობა და ამით ასწიონ შრომის ნაყოფიერების საერთო-საქარხნო მაჩვენებელი. ამის მაგალითი უკვე მოგვცა ამწყობი საამქროს მიმდინარე წლის პირველი სამი დღის მუშაობამ. ამ სამ დღეში საამქროს კოლექტივი საგრძნობლად უკეთ მუშაობს და ყოველდღიურ დავალებებს პირნათლად ასრულებს.

საჭიროა აქვე ითქვას, **რომ** 1943 წლის მანძილზე ამწყობი საამქრო ქარხნის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენდა. მიმდინარე 1944 წლისთვის საამქროს ახალი დავალებები აქვს მიცემული. მან ჩვენი სოციალისტური ტრანსპორტი უნდა მოამარაგოს ორთქლმავლებით და სათადარიგო ნაწილებით. ქარხნის ხელმძღვანელობა და პარტიული ორგანიზაცია საამქროს დიდ დახმარებას უწევენ და ამ დახმარების პირველი ნაყოფი არის ამწყობი საამქროს კოლექტივის მიერ იანვარში მუშაობის უკეთ დაწყება.

შრომის ორგანიზაციის საზოგადოებრივი შემოწმების შედეგად ბევრი საგულისხმო რამ აღმოჩნდა: აღმოჩნდა, მაგალითად, რომ ქარხანას შეუძლია თავის დასაკმაყოფილებლად გამონახოს ათასზე მეტი ტონა შავი ლითონის ჯართი და ამით, ერთის მხრივ, გასწიოს ეკონომია, ხოლო, მეორე მხრივ, განტვირთოს ტრანსპორტი ამ რაოდენობის ლითონის გადაზიდვისაგან. გამოირკვა აგრეთვე, რომ არის შესაძლებლობა კიდევ უფრო მეტად დაზოგონ თხიადი საწვავი მასალა, ელექტროენერგია, აღადგინონ და ამუშაონ ძველი დაზგები და ხელსაწყოები და სხვ.

იანვრის პირველ დღეებში შარშანდელთან შედარებით უკეთ დაიწყეს მუშაობა სახალხო-სავაგონო, სატენდერო, საბორბლე-სახარატო და საელმავლო საამქროებმა.

წარმატებით და კარგად დაიწყეს 1944 წლის საწარმოო დავალებათა შესრულება **26 კომისრის სახელობის ქარხანაშიც.** ქარხნის მთელ რიგ მოწინავე ბრიგადებს (ამხ. გ. გასხშვილის მეხარატეთა ბრიგადას, ამხ. ი. მირზოევის მეყალიბეთა ბრიგადას და სხვ.) 5 იანვრისათვის გადაჭარბებით შესრულებული მათთვის დაკისრებული ახალი საწარმოო დავალებები. შრომის ორგანიზაციის საზოგადოებრივი შემოწმების ნატარებამ აქაც გეგმების გადაჭარბებით შესრულების მრავალი ახალი საშუალება აღმოაჩინა. ქარხანაში ახლა მთავარი ყურადღება ექცევა სამუშაო ადგილების რაციონალურად მოწყობას, მანქანა-იარაღების სრული დატვირთვით მუშაობის უზრუნველყოფას და შინაგანი რესურსების გამონახვასა და გამოყენებას.

ამ დღეებში აქ მუშაობას დაიწყებს ათასოვან სტახანოველთა ბრიგადა, რომელსაც უხელმძღვანელებს წარჩინებული ათასოვანი სტახანოველი ამხ. ი. მირზოევი. ბრიგადაში შედიან ამხ. გ. მელაძე და გ. არამიანი. ბრიგადის წევრებმა იკისრეს სავსებით უზრუნველჰყონ მთელი ქარხნის მოთხოვნილება იმ დეტალებით, რომელთა გამომუშავებაც მათ აქვთ მინდობილი.

კარგად დაიწყეს მუშაობა **თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაშიც.** იანვრის პირველი დღეების განმავლობაში აქ ყოველდღიური საწარმოო გეგმები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით სრულდება. ისევე როგორც დეკემბრის ბოლო დეკადაში, იანვრის პირველ დეკადაშიც მოწინავე ადგილზე არიან სართავი და საქსოვი საამქროების კოლექტივები.

დიდი მუშაობა ჩაატარა იმ საფაბრიკო კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა 1944 წლის საწარმოო დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად წინასწარი მზადება (კომისიის ხელმძღვანელი ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ს. იაკობაშვილი). კომისიის მიერ დამუშავებული საწარმოო ხასიათის ღონისძიებები ამჟამად განხორციელების პროცესშია.

შრომითი აღმავლობით ხასიათდება აგრეთვე თბილისის დანარჩენ საწარმოთა მუშაობის დაწყება 1944 წლის საწარმოო დავალებათა შესრულებაში. კალინინის სახელობის ქარხანაში, სტალინის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში, მეორე სამკერვალო ფაბრიკაში, ქიმკომბინატში და მთელ რიგ სხვა საწარმოებში წელს მუშაობა ბევრად უკეთ მიმდინარეობს, ვიდრე 1943 წლის იანვრის დასაწყისში.

დ. ამირანაშვილი

ხარკოვის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივის დელეგაცია თბილისში

თბილისში ჩამოვიდა ხარკოვის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივის დელეგაცია, რომელმაც ჩამოიტანა ამ ქარხნის მუშათა, ოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წერილი სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშებისა, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკოსებისადმი.

თავიანთ წერილში ხარკოველები სწერენ, თუ როგორი ერთსულოვნებით **და** ენტუზიაზმით შეუდგნენ ისინი გერმანელ დამპყრობთა მიერ დანგრეული შუბლიური ქარხნის აღდგენას. ხარკოველები მიმართავენ ბელადის სახელობის ქარხნის კოლექტივს დახმარებისათვის.

დელეგაციაში შედიან ხარკოვის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მოწინავე ადამიანები ამხ. გ. პოპოვი, მ. კოვანკო **და ს. კასარეკი.**

ჯუნგოს უხვი მოსავალი

ხუბი („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა 113 პროცენტით შეასრულეს ტუნგოს ნაყოფის დამზადების 1943 წლის გეგმა. სოფ. ბიის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მარტო მეხუთე ბრიგადამ (ბრიგადირი დ. ოსაია) ჩააბარა სახელმწიფოს იმდენი ნაყოფი, რამდენსაც კოლმეურნეობის მთელი გეგმა ითვალისწინებდა, სულ 18 ტონა. **ახლა** კოლმეურნეობას გეგმის გადამეტებით **ჩასაბარებლად** დამზადებული აქვს 25-მდე ტონა **ტუნგოს ნაყოფი.**

ტუნგოს უხვი მოსავალი **მიიღო და დამზადების** გეგმა 207,3 პროცენტით შეასრულა აგრეთვე ხობის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. კოდუა). ასევე მაღალი მოსავალი მიიღეს და წარმატებით შეასრულეს გეგმები სოფ. შუა ქვალონის მარქსის სახელობის (თავმჯდომარე ვ. ქირია) და სოფ. პირველი მაისის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობებმა.

ზრ. ნანეიშვილი

დონბასი აღორძინებას იწყებს

დიდი საწარმოო გამარჯვებით შეხვდნენ მაღაროელნი ახალ წელს. გერმანელმა ოკუპანტებმა დააასახიჩრეს ჩვენი დონბასი. მათ ნანგრევების გროვად აქციეს შახტზედა ნაგებობანი, ააფეთქეს შახტების ურალები და ტანი, წყლით აავსეს შახტები. მაღაროელებმა გადასწყვიტეს აღორძინონ შუბლიური დონბასი, დაუბრუნონ მას ყოფილი სახელი.

ახალ წლის საჩუქრად ამუშავებულია ათობით შახტი. ისინი აღდგენილია მეოთხე კვარტალის განმავლობაში — დაწესებულ ვადაზე გაცილებით ადრე. ამას ჩვენ უმთავრესად უნდა ვუმადლოდეთ მაღაროელთა შრომითს ენტუზიაზმს. სარეკორდო მოკლე ვადებში აგებულია ახალი ურალები, დადგმულია ახალი ამწე მანქანები, გამაგრებულია ათიათასობით მეტრი სანგრევი, დამთავრებულია წყლის ამოტუმბვა. მაგალითად, ტრესტ „ზუევანტრაციტის“ № 20-ბის შახტი თვენახევრის განმავლობაში სავსებით აღდგენილია და უკვე იძლევა ქვანახშირის ომამდელი მოპოვების რაოდენობას.

აღადგენს რა დიდ შახტებს, რომლებიც სამშენებლო სამუშაოთა პროცესში იძლევა ეგრეთწოდებულ გზადაგზა მოპოვებულ ქვანახშირს, კომბინატი ყოველ დეკადაში ადიდებს მცირე შახტებში ქვანახშირის მოპოვებას. კვარტალის გეგმა ჯერ კიდევ 25 დეკემბერს შესრულდა. უკანასკნელ დღეებში ჩვენს ქვეყანას მივეცით ათობით ეშელონი ზეგეგმითი სათბობი. დღითი დღე იზრდება სტახანოველთა რიცხვი, რომლებიც რემონტის დარგში დავალებას 300-400 პროცენტით ასრულებენ და სანგრევებში 10-15 ნორმას იძლევიან ცვლაში. შახტებში მოვიდნენ ძველი კადრის მეშახტეები. მიუხედავად თავიანთი ხანშიშესულობისა, ისინი მუშაობენ მაღალნაყოფიერად, ახამებენ სანგრევსა და შტრეკში მუშაობას და ამავე დროს ასწავლიან ახალგაზრდობას.

მთელი ჩვენი ქვეყანა დახმარებას უწევს დონბასის აღორძინების საქმეს. ურალის, ციმბირის, მოსკოვის და სხვა ქალაქების მშრომელნი საჩუქრად გვიგზავნიან ხე-ტყის, მოწყობილობის და სხვა მასალის ეშელონებს. ჩვენ ვაფასებთ ამ დახმარებას და ძალიან კარგად გვესმის ჩვენი მუშაობის მთელი მნიშვნელობა ფაშისტ ავაზაკთა განადგურებისათვის, რომლებიც ოცდაორი თვის განმავლობაში ბილწავდნენ დონბასს. ჩვენი ოლქი, ჩვენი კომბინატი ბელადის დიდ სახელს ატარებენ. ამ პატივს ჩვენ გავამართლებთ შახტების უსწრაფესად აღდგენით, დონეცის ქვანახშირის ზეგეგმითი ეშელონებით.

მაღაროელებს ცუდად როდი უმუშავნიათ გასულ წელს. **ახალ** წელს ჩვენ კიდევ უფრო დაძაბულად ვიმუშავებთ, რათა მალე მთელი სიმძლავრით ამუშავდეს სრულიადსაკავშირო საეცხლფარეშო.

ა. ზასიადკო,

ქვანახშირის მრეწველთა სახალხო კომისრის მოადგილე, კომბინატ „სტალინუგოლის“ უფროსი.

სტალინო, (საკადესი).

„დიდების“ ორდენის კავალერთა საბრძოლო საქმეები

1. მეთაურის სიცოცხლისათვის

მანქანა, რომლითაც ბევრჯერ უფრენია უმცროს ლეიტენანტ ვასილ შაშინს, სწრაფად მოდიოდა ძირს; იგი აღარ ემორჩილებოდა პილოტის ნებისყოფას. მფრინავს სახელური სულ გაზზე ჰქონდა, იგი ამოდ ცდილობდა გამოცოცხლებინა მოტორი. „ილიუშინ-2“ ბრუნდებოდა საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულების შემდეგ. მისი ფრთების ქვეშ სჩანდა სახლები, ტყეები, მინდვრები. მიწა სწრაფად ახლოვდებოდა. მფრინავი გამუდმებით წინ იყურებოდა, მაგრამ ფიხების მძიმე ტკივილი გონებას უკარგავდა. თითქოს სიზმარშია, გიგონა შაშინმა მსროლელ უფროს სერჟანტ ალექსანდრე ბურლაკოვის ხმა:

— მეთაურო, ჩვენ ვვარდებით. თქვენ დაჭრილი ხართ?

— თვითონაც დაჭრილი ვარ და თვითმფრინავიც დაზიანებულია,— სურდა ეპასუხნა მფრინავს, მაგრამ ვეღარ მოასწრო. „ილიუშინმა“ დაბლა გადაუარა ერთ სახლს, დაეჯახა მეორეს, რომელსაც ჩალის სახურავი მოაძრო და სოფლის ქუჩაზე ჩამოვარდა.

დაჯახების შემდეგ გონს **რომ** მოვიდა, ბურლაკოვი კაბინიდან ამოხტა. თვითმფრინავს თოფის სროლა აუტეხეს. ეს გერმანელები ისროდნენ: აქ გადიოდა მათი თავდაცვის ხაზი.

ალექსანდრე ბურლაკოვმა რამდენიმე მეტრი გაირბინა და უკან მიიხედა: მფრინავის კაბინი კვლავ დახუთული იყო.

— ნუ თუ მოჰკლეს?— გაუელვა თავში მსროლელს. ბურლაკოვი გაწვა და თვითმფრინავისაკენ გახოხდა. გერმანელთა ტყვიები ზუზუნით მ-ფიოდნენ და მის გვერდით ეცემოდნენ. მაგრამ მსროლელი განაგრძობდა მანქანისაკენ სვლას. ბურლაკოვი საფრთხეს არარად აგდებდა, იგი თვითმფრინავის ფრთაზე შეედგა და კაბინის კარი გახსნა. უმცროსი ლეიტენანტი შაშინი იჯდა, თავი უკან ჰქონდა გადაგდებული, თითოწამლეჯილ მის მარცხენა ხელს ისევ ჩაბეჭედული ჰქონდა გაზის სახელური. მფრინავი ცოცხალი იყო. ბურლაკოვმა მის ფეხებს დაჰხედა და მიხვდა, თუ რა ძნელ მდგომარეობაში იყო მისი მეთაური: პილოტის ჩექმები და კომბინეზონი სისხლით იყო დასველებული. თვითმფრინავის ახლოს გასკდა ერთი ნაღმი, შემდეგ მეორე. ალექსანდრე ბურლაკოვმა კაბინიდან გამოიყვანა მეთაური, ზურგზე მოიგდო და მანქანას მოაშორა. იგი ნახევრად დანგრეულ სახლს იქით შეჩერდა და ჭრილობები შეუხვია მფრინავს.

ოთხ კილომეტრზე მეტი მანძილი იხოხა ცეცხლქვეშ მსროლელმა ბურლაკოვმა თავის ეთაურიანად და სავსე ჰოსპიტალში მიიყვანა მფრინავი. ოფიცრის გადარჩენისათვის და ამასთან მამაცობის გამოჩენისათვის უფროსი სერჟანტი ალექსანდრე ბურლაკოვი დაჯილდოებულია „დიდების“ მე-3 ხარისხის ორდენით.

2. ჯარისკაცის გამჭრიახობა

სამეზნოს რაიონში უმცროს ლეიტენანტ კულიჩენკოს თავს დაესხნენ გერმანელთა ავიაგამანადგურებლები. მფრინავი მარჯვე მანევრებით თავს აღწევდა სროლას და საშუალებას აძლევდა საჰაერო მსროლელს უფროს სერჟანტ პალიუნოვს მოეგერიებინა იერიშები. და რა მხრიდანაც უნდა მოეტანათ იერიში მოწინააღმდეგის ავიაგამანადგურებლებს, პალიუნოვი ტყვიამფრქვევის ჯერით ეგებებოდა მათ.

ბრძოლა უკვე საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა, მაგრამ „ფოკე-ვულფებმა“ ერთხელაც ვერ შესძლეს უკან მოჰქცეოდნენ მოიერიშეს. მაგრამ ეი გამოილია ვახნები. უფროსმა სერჟანტმა სასწრაფოდ გახსნა ჩანთა და იწყო გაესროლელი ვაზნების ძებნა. მან დაიგოვა ექვსი ცალი და გასტენა ტყვიამფრქვევი. ამ დროს ოთხ მოიერიშე ავიაგამანადგურებელს მიემატა კიდევ „რამა“. ეტყობოდა, მას უნდოდა გაესწრო ყველა ავიაგამანადგურებლისათვის, რომლებმაც აქამდე ვერაფერი მოუხერხეს ძოიერიშეს. მაგრამ როცა „რამამ“ იერიშის მისატანად გაემართა, მსროლელმა პალიუნოვმა ბოკლე ჯერი დააყარა მას. ექვსი ვაზნა საკმარისი აღმოჩნდა: „რამა“ ფრთაზე გადაწვა და მიწაში ჩაერჭო.

მტრის ხუთ თვითმფრინავთან ამ ბრძოლაში გაიმარჯვა უფროსმა სერჟანტმა პალიუნოვმა. სარდლობამ აღნიშნა საჰაერო მსროლელის ჯარისკაცული სიმამაცე და გულადობა—უფროსი სერჟანტი დაჯილდოებულია „დიდების“ მე-3 ხარისხის ორდენით.

უმცროსი ლეიტენანტი ვლ. სტეპანენკო

მოქმედი არმია, 3 იანვარი. (საკადესის სპეც. კორ.).

დღეფენები

ა. შ. შვაჯეიკის სამხედრო მინისტრ სტიმსონის განცხადება

ვაშინგტონი, 3 იანვარი (საკადესი). ა. შ. შტატების სამხედრო მინისტრმა სტიმსონმა საახალწლო განცხადებაში აღნიშნა, რომ მოკავშირეები „ტიტანური და გადამწყვეტი ბრძოლის ზღურბლზე დგანან“.

„1942 წელი, — განაცხადა სტიმსონმა, — მომზადების წელი იყო. 1943 წელს ჩვენ ინიციატივა ვიგდეთ ხელთ. 1944 წელს მოხდება ბრძოლა ომის დასასრულის გადასაწყვეტად“. სტიმსონი მოუწოდებდა ყველა ამერიკელს, რომ მათ „განაგრძონ თავიანთი ერთიანობის განმტკიცება ბრძოლისათვის. მაშინ ეროვნული ღონისძიებების გზით გამოვიყენებთ მთელ ჩვენს სამხედრო ძალებს, საბრძოლო გაბედულებას ჩვენი მტრების წინააღმდეგ. მაშინ ჩვენი შეტევა გაიმარჯვებს და ომი დამთავრდება“.

ამერიკის ბომბდამშენთა თავდასხმა პა-დე-კალეზე

ლონდონი, 4 იანვარი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ამერიკის ბომბდამშენებმა 4 იანვარს დღისით დიდი თავდასხმა მოახდინეს სამხედრო ობიექტებზე პა-დე-კალეში. ამერიკის ბომბდამშენებს იცავდნენ მოკავშირეთა ავიაციის ავიაგამანადგურებლები. ყველა ბომბდამშენი თავის ბაზაში დაბრუნდა.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 4 იანვარი (საკადესი). ჩრდილოეთ აფრიკის მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ ინგლისის მე-8 არმიის ინდოეთის ნაწილებმა გაიუმჯობესეს პოზიციები და დაიკავეს დიდი მნიშვნელობის მქონე მაღლობი, რომელიც მტრის პოზიციებს დაჰყურებს.

3 იანვარს მოკავშირეთა ავიაციის მძიმე ბომბდამშენთა დიდმა შენაერთებმა იერიში მიიტანეს ბუნთობსაკისარის ქარხანაზე ვილა-პეროზაში (ტურინის სამხრეთ-დასავლეთით) და დიდი მნიშვნელობის მქონე რკინიგზის კვანძზე ტურინში. საშუალო ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს დოკებსა და რკინიგზის ნაგებობებზე სპლიტსა და შიბენიკში იუგოსლავიის სანაპიროზე. პრიედორში (იუგოსლავია) ჰაერიდან მიტანილ იქნა იერიში გერმანელთა ჯარების დიდ დაჯგუფებაზე.

ბომბდამშენები და გამანადგურებელ-ბომბდამშენები მთელი დღის განმავლობაში ხელს უწყობდნენ სახმელეთო ნაწილების მოქმედებას.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 4 იანვარი (საკადესი). როგორც ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, 3 იანვარს ღამით „მოსკიტოს“ ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს სხვადასხვა ობიექტებზე დასავლეთ გერმანიაში და უზარალოდ დაბრუნდნენ ბაზებში. 4 იანვარს განთიადისას ბომბდამშენთა შენაერთებმა ზედიზედ გადაუფრინეს სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს საფრანგეთის მიმართულებით.

65 ათასი სიკვდილით დასჯილი. 400 ათასი დაკავებულია
ჰიტლერისა და ლავალის ტერორის მსხვერპლი საფრანგეთში

ლონდონი, 4 იანვარი (საკადესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს საფრანგეთის არალეგალური პატრიოტული ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრის განცხადებას იმის შესახებ, რომ 1940 წლის ივლისიდან ჰიტლერელებმა და მათმა დამჭაშებმა საფრანგეთში სიკვდილით დასაჯეს დაახლოებით 65 ათასი კაცი, საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაჰყარეს 400 ათასი კაცი და გერმანიის საკატორღო სამუშაოებზე გაგზავნეს დიდძალი ფრანგი.

მთავრობის საწინააღმდეგო განწყობილების ზრდა ბულგარეთში

სტამბოლი, 4 იანვარი (საკადესი). ბულგარული გაზეთები და ბულგარეთის მმართველი წრეები შეშფოთებას გამოსთქვამენ ბულგარეთის ოფიციალური პოლიტიკის კურსით ბულგარეთის ხალხის მასების ზრდადი უკმაყოფილების გამო. გაზეთი „ნოვა ვეჩერი“ აღიარებს, რომ სოფიაში ბევრია ისეთი ხალხი, **რომელთა** შეხედულებაც „ფაშისადმედგება“ მთავრობაა პოლიტიკას, და რომლებიც „მომავალს შავნელი ფერებით ხატავენ“. ეგრეთწოდებული „სათადარიგო მხედრობის კავშირის“ წარმომადგენელმა ვასილიევმა ქალაქ პლოვდივში კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა და მოუწოდებდა გადაჭრით „გავშინდოთ ბულგარეთის მიწა-წყალი დამპრცხების მომხრეებისაგან“. მან დაადასტურა, რომ ბულგარეთის სახელმწიფო მოსამსახურეთა შორისაც გავრცელებულია უკმაყოფილების განწყობილება. მოსამსახურეთა შორის,—სთქვა მან,—ცოტა როდია ისეთი ხალხი, რომლებიც „ფარულად მუშაობენ სახელმწიფოს წინააღმდეგ, აწყობენ საბოტაჟს, ყოველნაირად უტეხენ სახელს ხელისუფლებას“.

ხშირად ესხმიან თავს ჰიტლერის ბულგარელ დამჭაშებს. გაზეთი „ზორა“ იუწყება,



ჩეხოსლოვაკიის ნაწილები საბჭოთა კავშირში წითელ არმიასთან ერთად იბრძვიან გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. სურათზე: სუვოროვის II ხარისხის ორდენოსანი ჩეხოსლოვაკიის 1-ლი ცალკე ბრიგადის მამაცი სანიტარი ქალები სარა აკარმანოვა (მარცხნივ) და ვლასტა პავლანოვა, რომლებიც დაჯილდოებული არიან მედლით „მამაცობისათვის“ და ჩეხოსლოვაკიის ორდენით „საბრძოლო ჯვარი“.

ფოტო ი. პავოლოკიისა (საკადესის ფოტოქრონიკა)

სახალხო განათლების მუზეუმი

1940-41 წ. დაარსდა სახალხო განათლების მუზეუმი, რომლის დანიშნულებაა შეაგროვოს ყველა მასალა, რაც საქართველოში სახალხო განათლების საქმეს შეეხება.

მუზეუმი მოთავსებულია იავნიძის ქუჩაზე. იგი ამჟამად ამზადებს მდიდარ და მრავალფეროვან მასალებს გამოფენისათვის, აგროვებს მასალებს ჩვენს გამოჩენილ პედაგოგებზე, სახალხო განათლების მოღვაწეებზე, სახალხო განათლების ისტორიაზე და სხვა მრავალ საინტერესო და საჭირო საკითხებზე.

მუზეუმმა შეიძინა ი. გოგებაშვილის წერილები, ლ. ბოცვაძის მთელი არქივი, ალ. მიქაბერიძის არქივი, მიქაბერიძის მონოგრაფია-მოგონება სილოვან ხუნდაძის შესახებ, მისივე ორფოგრამიანი მოგონება შიო ჩიტაძის შესახებ, ი. ოცხელის მრავალი წერილი და სხვა მასალები, ა. გარსევანიშვილის მოგონებები ნ. ლომოურსა და ვაჟა-ფშაველაზე, ი. გომელაურის მოგონებანი; მუზეუმის ფონდებშია დოკ. ბეგიაშვილის, ლ. ბზვანელის, ტრ. ხუნდაძის, ს. რობაქიძის. ა. არდაზიანის, თ. გეგეშიძის, ი. ვართაგავას, ი. იმედაშვილის, ი. მესხის, მ. ჩინჩალაძის, გ. ნათაძის და სხვა მოღვაწეთა მონოგრაფიები და მოგონებები.

მუზეუმმა შეიძინა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მთელი არქივი, დაწყებული 1883 წლიდან 1914 წლამდე. ამ დღეებში მუზეუმს გადაეცემა გორის საოსტატო სემინარიის მდიდარი არქივი.

მუზეუმი აგროვებს მასალებს და ექსპონატებს საქართველოსა **და** ამერიკა-კავკასიაში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის ბრძოლის ისტორიის შესადგენად. უკვე შეძენილია დიდძალი ხელნაწერები მიწერმოწერისა. ბრიშურები, წესდებების პროექტები, აქტები. მუზეუმი ადგენს ყველა უმაღლესი სასწავლებლის ისტორიას, რომლებიც საქართველოში არსებობდნენ ან არსებობენ.

იმავე დროს მუზეუმი აგროვებს საინტერესო მასალებს ჩვენი მეცნიერი მუშაკების შესახებ. ყოველ მეცნიერ მუშაკზე, რა დარგშიც არ უნდა მუშაობდეს იგი, გროვდება მასალები (ნაწილობრივ უკვე შეგროვილია). ავტობიოგრაფია, ფოტოსურათი, მეცნიერულ ნაშრომთა სია, მონოგრაფია და სხვ.

მუზეუმი შეუდგა მზადებას საქართველოში სახალხო განათლების ისტორიის შესადგენად ამჟამად მუშაობა სწარმოებს სახალხო განათლების ცალკეულ გამოჩენილ მოღვაწეთა და სახალხო განათლების ისტორიის ცალკეული ეტაპების შესახებ მონოგრაფიების დაწერაზე. დასაბეჭდად გამზადებულია მონოგრაფიები: ა. ხუნდაძე — „ლუარსაბ ბოცვაძე“, მ. თალაკვაძე — „შიო ჩიტაძე“, გ. ნათაძე — „ხელნაწერი სახელმძღვანელოები საქართველოს სკოლებში XIX საუკუნემდე“, თ. ბეგიაშვილი — „ანტონ კათოლიკოსის „სიმეტნე“, ი. ბოცვაძე — „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების ისტორია“ და სხვ. მუშაობა ამ ხაზით გრძელდება. მუზეუმის დაკვეთით მონოგრაფიებს სწერენ შემდეგი ავტორები: მ. ბერძნიშვილი — „რომაელი და ბერძენი კლასიკოსები კოლხეთის კულტურის შესახებ“, ს. ცათშვილი — „პირველი სკოლა სამეგრელოში“ (ლაპარაკია მარტვილის დაწყებითის სკოლაზე, რომელიც არსებობდა XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში, სამეგრელოს რუსეთთან შეერთებამდე) და სხვ.

მონოგრაფიების ავტორებმა საქართველოში სახალხო განათლების ისტორიისათვის ფრიად საინტერესო მასალები დაიგროვეს. ძველად საქართველოში არსებობდა ხელნაწერი სახელმძღვანელოები თითქმის ყველა საგანში, როგორც მაგალითად: ანბანი, ქართული წერის დედნები, ხატვა, კრებულები — ქრესტომათიები, გრამატიკა, ფილოსოფია, ლოგიკა და რიტორიკა, გეოგრაფია, ისტორია, მათემატიკა, ფიზიკა, ღვთისმეტყველება, სამხედრო საქმე და სხვ. მუზეუმში დაცულია ანტონ კათოლიკოსის გრამატიკის სახელმძღვანელო. თავისი ცნობილი შრომის დაწერის შემდეგ ქართული გრამატიკის დარგში, ანტონ კათოლიკოსს შეუდგენია გრამატიკის მოკლე კურსი, როგორც სახელმძღვანელო სკოლებისათვის. წიგნს დართული აქვს ბოლოსტყვაობა, რომელშიც ავტორი მე-18 საუკუნის დაწყებითი სკოლების მასწავლებლებს აძლევს მეთოდურ მითითებებს გრამატიკის სწავლების შესახებ. მუზეუმშია აგრეთვე იმავე ავტორის ლოგიკის სახელმძღვანელო.

მუზეუმმა საერთოდ დიდძალი საინტერესო ექსპონატები შეაგროვა: სიმონ კუტლის მოწავლეების მიერ გადაწერილი „ვეფხის-ტყაოსანი“ (1840 წ.), თბილისის ქალთა მეორე გიმნაზიის ქალთა სალიტერატურო წრის ხელნაწერი ჟურნალი „ცდა“, დიდძალი ფოტოილუსტრაციები, ლიტერატურა და სხვ. მუზეუმი აგროვებს მასალებს სამამულო ომის მონაწილე მასწავლებელთა შესახებ.

სახალხო განათლების მუზეუმი დიდად საჭირო საქმეს აკეთებს. ამ საქმეში მას ყოველმხრივ უნდა შეეწყოს ხელი, **განსაკუთრებით** შესაფერი ბინის გამოძებნით.

ზრ. ნუცუბიძე

ხარკოვი დღეს. ხარკოვში კვლავ დაიწყო ტრამვაის მოძრაობა ქალაქის ცენტრსა, ვოგზალსა და ქარხნებს შორის. სურათზე: ტრამვაის ვაგონები ტეველევის მოედანზე

ფოტო გ. უგრიანოვიჩისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმელებმა პირველი ადგილი დაიკავეს საჰაერო-ქიმიური თავდაცვის IX სრულიადსაკავშირო შეჯიბრებაში

თბილისში მიღებულია ცნობა თავდაცვა-ავიაქიმის საჰაერო-ქიმიური თავდაცვის IX სრულიადსაკავშირო შეჯიბრების შედეგების შესახებ.

სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა საჰაერო-ქიმიური თავდაცვის IX სრულიადსაკავშირო შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის პირველი ადგილი მიაკუთვნა საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებს და დაუტოვა მათ სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

საქართველოს **სსრ** თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოს მიეკუთვნა პრემია ხუთი ათასი მანეთის რაოდენობით.

სანიმუშო მუშაობისათვის და IX სრულიადსაკავშირო შეჯიბრებაში მიღწეული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს **სსრ** თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე პოდპოლკოვნიკი ობოლაძე და საქართველოს სსრ თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს საჰაერო-ქიმიური თავდაცვის განყოფილების უფროსი ამხ. ელენეზნიაკოვი დაჯილდოებულ არიან ფულადი პრემიებით.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის **ორგანიზაციებმა** გადამეტებით შეასრულეს მიმდინარე წლის ყველა დავალება საჰაერო-ქიმიური თავდაცვის ნორმების ჩაბარებისათვის მოსახლეობის მომზადების მხრივ.

საჰაერო-ქიმიური თავდაცვის IX სრულიადსაკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს 500 ათასამდე თავდაცვაავიაქიმელი, თავდაცვა - ავიაქიმის 57 საოლქო, საქალაქო და სარაიონო საბჭო. რესპუბლიკურ ორგანიზაციათაგან საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ აჭარის ასს რესპუბლიკის თავდაცვა-ავიაქიმის (თავმჯდომარე ამხ. სურმავა) ორგანიზაციებს. საქალაქო საბჭოებს შორის პირველი ადგილი დაიკავა ქუთაისის თავდაცვა-ავიაქიმის საქალაქო საბჭომ (თავმჯდომარე ამხ. წურწუმია) სარაიონო და სასოფლო საბჭოებს შორის—მცხეთის თავდაცვა-ავიაქიმის სარაიონო საბჭომ (თავმჯდომარე ამს. ნინუა).

შეჯიბრების პერიოდში საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა ჩაატარეს 6.400 ლაშქრობა, და ვარჯიშობა აიწრინაღებით, რაშიაც მონაწილეობას იღებდა სულ 500 ათასი კაცი. მოწყობილ იქნა 14 ათასზე მეტი ლექცია, მოხსენება და საუბარი საჰაერო-ქიმიური თავდაცვის შესახებ. (საკადესი).

კინო

„ჯორჯი დინკი-ჯაზიდან“

მალე თბილისის ეკრანზე გამოვა მეორე ინგლისური ფილმი — „ჯორჯი დინკი-ჯაზიდან“. ეს ფილმი საინტერესოდ გაკეთებული კომედიაა (რეჟისორი ვარნელი) თავდაცვის თემაზე. ფილმის მოკლე შინაარსი ასეთია:

ნორვეგიაში, ბერგენში (ოკუპაციამდე) ჯაზორკესტრი უკრავს. ყოველდღე ჯაზი რადიოთი გადასცემს თავის კონცერტს. ჯაზის ხელმძღვანელი გერმანელი ფაშისტების აგენტია. იგი როგორლაც აცნობებს გერმანიის წყალქვეშა ნავებს ინგლისის გემების მოძრაობას და ისინი სძირავენ ამ გემებს. ინგლისს დაზვერვამ იცის ეს და უნდა გამოარკვიოს რა გზით აძლევენ ცნობებს წყალქვეშა ნავებს. ეს დავალებული ჰქონდა ინგლისის დაზვერვის აგენტს ლეონს, რომელიც მასხიობად მსახურობდა ჯაზში, მაგრამ ფაშისტებმა გაუგეს და მოჰკლეს.

მოკლული ლეონის მაგიერ ინგლისის და